პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

10 სექტემბერი

შ ა ბ ა თ ი

1919. სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყება ესტონეთთან.

სენ-ჟერმენში ხელ მოწერილ იქნა სამშვიდობო ხელშეკრულება მოკავშირეებსა და ავსტრიას შორის.

1823. დაიბადა ლ. ნ. ტოლსტოი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ 10 ს.— 2ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაკვეთა
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დ ღ ი უ რ ი

— სექტემბრის ბოლო რიცხვებში ყარსში შესდგება ოსმალეთის და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა კონფერენცია, საბჭოთა რუსეთის დელეგაციის მონაწილეობით.

— ჩიჩერინის საპროტესტო ნოტა ანტანტისადმი, დამშეულთა დახმარების საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარედ, საბჭოთა რუსეთის მოსისხლე მტრის ბ. ნულანსის დანიშვნის გამო რომელიც ცდილობს რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევას.

№ 157 შაბათი, 10 სექტემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 10 სექტემბერი, 1921 წ. № 157

სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი და სოციალიზმი

საბჭოთა რესპუბლიკები დღეს „ახალ" ეკონომიურ პოლიტიკას აწარმოებენ. თუ წინეთ, იმპერიალისტური ბლოკადის ცეცხლის რკალში მოქცეულნი, ისინი იძულებულნი იყვნენ ბრძოლის წარმატებით საწარმოებლად, დადგომოდენ მთელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და კოოპერაციის მილიტარიზაციის და ნაციონალიზაციის გზას, ყოველივე აემუშავებინათ სამხედრო ფრონტის მოუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, აეკვეთათ თავისუფალი ვაჭრობა, მიემართათ კონფისკაცია რეკვიზიციისათვის,— ერთი სიტყვით შემოეღოთ „სამხედრო კომუნიზმი", ახლა, როცა სამხედრო ფრონტის ადგილი უჭერია სამეურნეო ფრონტს, პროლეტარული რევოლიუციის და პროლეტარული დიქტატურის ეკონომიური პოლიტიკა იცვლება, ის უბრუნდება თავის წინანდელ კალაპოტს. შედარებით ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც მსხვილი მრეწველობა ნაკლებათ არის განვითარებული, სადაც ომიანობის ჯოჯოხეთი იყო გამეფებული უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში, ასეთი კალაპოტია სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი. რას გულისხმობს ეს ცნება? სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი წარმოადგენს ეკონომიურ ურთიერთობათა ისეთ ფორმას, როცა წარმოების საშუალებანი (ფაბრიკა-ქარხნები, მაღაროები, რკინის გზები და სხ.) კაპიტალისტური სახელმწიფოს ხელშია, ე. ი. როცა საწარმოვო საშუალება იარაღები წარმოადგენენ კერძო საკუთრებას სახელმწიფოებრივათ გაბატონებულ ბურჟუაზიისას. ასეთი სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი მომასწავებელია ბურჟუაზიის უდიდესი სიძლიერის და იმავე დროს ის არის ბურჟუაზიის ბატონობის უკანასკნელი ფორმა. სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი უკანასკნელი საფეხურია ბურჟუაზიის განვითარების და არსებობის, ის გადასავალია სოციალიზმის სამეუფოში პროლეტარული რევოლიუციის და დიქტატურის გზით.

სწორედ ეს სახელმწ. კაპიტალიზმი, რომელიც ახალი ეკონომიური პოლიტიკის მთავარი მომენტია, უბნევს გზა-კვალს ზოგიერთ ჩვენს პარტიულ ამხანაგებს. მათ ჰგონიათ: თუ სახელმწ. კაპიტალიზმისაკენ ვიღებთ გეზს, უწინდელი კაპიტალიზმის აღდგენას ვცდილობთ ვითომ, ე. ი. საკუთარი ხელით ვუღებთ კარს გაძევებულ კაპიტალისტებს მათ ეკონომიურ და პოლიტიკურ ბატონობას! როცა ასეთ რამეს ჩაჩხავის ჩვენი მოწინააღმდეგე და მტერი, ეს ადვილი გასაგებია. ჩვენი პარტიის არც ერთ წევრისათვის კი ასეთა წარმოდგენა დასაშვები არ უნდა იყოს.

საბჭოთა რესპუბლიკებში აღმოფხვრილია კაპიტალისტური სახელმწიფოს ნიშან-წყალიც კი. მთელი ძალაუფლება მშრომელთა ხელშია. აქ საწარმოვო იარაღების და დაწესებულებების მესაკუთრეთ გვევლინება პროლეტარიატი და უღარიბესი გლეხობა, ე. ი. მშრომელთა კლასი სახელმწიფოებრივ მართველ ძალათ მოწყობილი. როცა ეს გაბატონებული მშრომელთა კლასი კონცესიის ან იჯარის სახით სცემს კაპიტალისტებზე სამეურნეო დარგის რომელიმე ნაწილს, ამა თუ იმ სამრეწველო დაწესებულებას, განა ამით ისპობა ამ კლასის უფლება, როგორც მესაკუთრისა? სრულიადაც არა. ის უწინდებურად რჩება ბატონ პატრონათ, ვინაიდან მის ხელშია უზენაესი გამგებლობა. მართალია, კონცესიით თუ იჯარის სახით გაცემულ სამრეწველო დარგში რამდენიმე მაინც შინაური კაპიტალისტური წყობილება და ურთიერთობა, პროლეტარულ სახელმწიფოსთან ერთად შემოსავალს და მოგებას მიისაკუთრებენ კერძო კაპიტალისტები თუ მათი გაერთიანებული ჯგუფები, მაგრამ ეს გარემოება სრულებით არ ამსგავსებს პროლეტარული რესპუბლიკის სახელმწიფო კაპიტალიზმს, ბურჟუაზიის სახელმწ. კაპიტალიზმს.

ვისაც არ ესმის ეს, ვინც არ ჩაკვირვებია ღრმათ ამ საკითხს, ის აუცილებლად მოითხოვს საერთო დეცენტრალიზაციას სამრეწველო დაწესებულებათა და ასეთს მოთხოვნას ლოღიკურად მიიჩნევს. რა არის დეცენტრალიზაცია? თუ სახელმწიფო ან კომუნალური სამრეწველო დაწესებულება (ქარხანა, ტრამვაი, დიდი სახლები, რკინის გზები და სხვა ასეთი) დაუბრუნდება კერძო საკუთრებათ მის წინანდელ პატრონს, ეს იქნება დეცენტრალიზაცია. თუ იგივე დაწესებულება გადაეცა განსაკუთრებული პირობებით კერძო მწარმოებელს, ეს იქნება არენდა, კონცესია და სხვა. არავითარი დენაციონალიზაცია ფიქრათ არ მოსვლია ჩვენს ამხანაგებს რუსეთში, არ მოგვსვლია ჩვენც. წვრილი სახელოსნო, ერთ თვლიანი სოფლის წისქვილი, არაკაპიტალისტური შენობა თუ დაუბრუნდა მეპატრონეს, ეს ბუნებრივია საბჭოთა რესპუბლიკისათვის, ვინაიდან წვრილი წარმოება მსხვილთან ერთად მოექცა ნაციონალიზაციაში იმიტომ, რომ მეტი გზა არ იყო, ამას მოითხოვდა „სამხედრო კომუნიზმი". დღეს კი, როდესაც მშვიდობიანი აღმშენებლობის მიზანი დგას ჩვენს წინაშე, წვრილი წარმოება და წვრილი არაკაპიტალისტური მფლობელობა დგება შეღავათიან პირობებში, რომლიდანაც მათი ამოღება ძალდატანებითი ზომებით ნორმალურ ხანაში არ მოუვიდოდა აზრათ პროლეტარულ დიქტატურის მესვეურთ. მაშ ასე, კონცესია თუ იჯარა და საკუთრება სხვა დასხვა საგანია. კაპიტალისტების სიმდიდრის, მათი ფინანსურის სპეციალური ცოდნის გამოსაყენებლათ პროლეტარული რევოლიუციის გასამაგრებლად ჩვენ შეგვიძლია და ვალდებულიც ვართ კონცესიით ან იჯარით გავცეთ ესა თუ ის სამრეწველო დაწესებულება პროლეტარული სახელმწიფოს ხელში საკუთრების უფლების დატოვებით. წვრილი სარეწაო დაწესებულება და მფლობელობა (პატარა სახელოსნოები, პატარა სახლები და სხ. ასეთი) კი დავუტოვოთ მათ პატრონებს, რომელთა დაჩაგვრა და ექსპროპრიაცია ჩვენ არასოდეს არ გვსურებია. არც ერთ კომუნისტს არ ეპატიება ამას დავიწყება ან არ გაგება. არც ერთის კომუნისტს არ შეეფერება იმაზე ფიქრიც კი, ვითომ მოსპობილი კაპიტალიზმის აღდგენისაკენ იყოს მიმართული საბჭოთა რესპუბლიკების „ახალი" ეკონომიური პოლიტიკა. ჩვენი გზა იყო და არის მიმართული კომუნიზმისაკენ. ეს გზა ლარივით სწორი არ არის, მიხვეულ მოხვეულებითაა გაღუნული. ახალი ეკონომიური პოლიტიკა შეგუებულია ამ უსწორ მასწორობასთან, მაგრამ მით უფრო სწორი და მიზნისაკენ მიმავალია ის.

წითელი კომანდირები

მუშურ გლეხური სახელმწიფოს სამხედრო ძლიერება უნდა იყოს დაყრდნობილი იმ საზოგადოებრივ ძალებზე, მისი არმია უნდა შესდგებოდეს იმ კლასების თუ ჯგუფების ნაწილებისაგან, რომელთა ინტერესებს იცავს ეს სახელმწიფო. ჩვენ ვისახავთ მიზნათ ბურჟუაზიის კლასიური ბატონობის საბოლოოთ დამხობას, მის განადგურებას. ცხადია, ეს დიდი საქმე უნდა შეასრულონ იმ კლასებმა, რომელთა ინტერესებს გამოხატავს დასახელებული მიზანი. ძველი, ბურჟუაზიული სახელმწიფოს არმია არ შეიძლება ყოფილიყო მატარებელი იმ მიზნის, თუმცა მისი ქვედა ფენების შემადგენლობა იკრიბებოდა, თავის უმნიშვნელოვანეს ნაწილში, ხალხის შვილებისაგან, იმ ხალხის, რომლის დამონებაზე და ძარცვაზე იყო აშენებული პომეშჩიკური და ბურჟუაზიული რეჟიმი. არმია გაჟღენთილი, თავის ყველაზე უფრო შეგნებული და ხელმძღვანელ ნაწილში, მჩაგვრელი კლასების ინტერესებით და ძველი ტრადიციებით, არმია, ჩავარდნილი ამ კლასებისა და ტრადიციების დამცველ სახელმწიფოს ხელში, უნდა დაშლილიყო ყოფილიყო რევოლიუციის პროცესში, რომ შექმნილიყო ახალი სამხედრო ძალა, გამოსადეგი ახალი მიზნებისათვის, რომლებსაც პროლეტარული რევოლიუცია ისახავდა. ეს ასეც მოხდა რუსეთში. ჩვენ დავინახეთ მეზობელ დიდს რესპუბლიკის რევოლიუციონური ომების მაგალითზე, თუ რა გმირობა და თავგანწირულება შესწევს მუშურ-გლეხურ წითელ ჯარს. მაგრამ თუ მან შესძლო სამი წლის უმაგალითო ომებში, შემოსეული შინაურ და უცხოელ თეთრგვარდიელების ძლევამოსილებით გამკლავება და დამარცხება მათი, ამ საქმეში უდიდესი როლი ითამაშა ამ ჯარების ხელმძღვანელმა ნაწილმა, „კომანდირებმა", რომელთა კადრების შექმნა, მათი სამხედრო ტექნიკური ცოდნით და საჭირო სტაჟის ხასიათის გამო ნაცვლებათ ვით შეუძლებელი იყო, ამიტომ საჭიროება ძველი ჯარის ახალი მიზნისათვის გამოსადეგი ასეთი ელემენტებით აუცილებელი შეიქნა და კითხვა ძველი სამხედრო „სპეცებისა", ჯარის ხელმძღვანელი ნაწილის გამოყენების შესახებ—როგორღაც არ უნდა დაჯდომოდა ეს ზოგიერთ ცალკე შემთხვევებში რევოლიუციონურ მთავრობას—ეს კითხვა დადებითად უნდა გადაჭრილიყო: მოწვეული შეიქნენ და გამოყენებული ძველი არმიის „კომანდირები".

დღეს, როდესაც ჩვენი რესპუბლიკის სამხედრო ძალის შექმნა, ერთ უდიდეს საქმეს წარმოადგენს და განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ყოველგვარ შესაძლებლობათა ღონისძიების ჩვენი არსებობის რთულ პირობებში, კითხვას წითელი კომანდირების აღზრდის შესახებ მუშურ გლეხურ ელემენტებისაგან უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სამხედრო ძლიერებისათვის წარმოებულ მუშაობაში. მუშურ-გლეხური ინტერესებისათვის მებრძოლი ჯარის არა მარტო მასიური შემადგენლობა იკრიბებოდის უნდა მშრომელი ხალხიდან არამედ იქიდანვე უნდა მოვკრიბოთ ამ ჯარის ხელმძღვანელი ნაწილი, მისი „კომანდირები". მუშა—წითელი „კომანდირი", აი ვინ უნდა ჩაუდგეს სათავეში ჩვენ წითელ ჯარს. მათ აღსაზრდელათ და გამოსაწრთობელათ გახსნილია 13 სპეციალური კურსები, სადაც მიიღებიან მუშებისა და გლეხების შვილები 18—35 წლისა. ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენ მშრომელ ახალგაზრდობას ფართოთ ისარგებლოს ამ საშუალებით წითელი არმიის გასაძლიერებლათ, მუშურ გლეხური სახელმწიფოს განსამტკიცებლათ და რევოლიუციის გასამარჯვებლათ.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების კონფერენციისათვის

(რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობასთან არსებულ ბეჭდვითი ბიუროსგან)

ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის იუსუფ ქემალ ბეის ნოტა საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. სვანიძეს.

„ბ-ნ სვანიძეს, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს—თბილისში.

30 ივლისის თქვენი დეპეშის საპასუხოთ, მაქვს პატივი გაცნობოთ თქვენ, რომ ჩემი მთავრობა თანახმაა რომ ოსმალეთის და კავკასიის რესპუბლიკათა განზრახული კონფერენცია, რ. ს. ფ. ს. რ. დელეგაციის თანდასწრებით მოხდეს ქ. ყარსში. ოსმალეთის დელეგაცია, გენერალ ქიაზიმ ყარა-ბექირ-ფაშის,—ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის აღმოსავლეთის ლაშქრის სარდლის და იმავე ყრილობის ქალ. ადრიანოპოლის დეპუტატის თავმჯდომარეობით, შესდგება: ოსმალ. დიდი ეროვნული ყრილობის ქ. ბურდურის დეპუტატის ველი ბეისგან,—ოსმალეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლის—ბაქოში მამედ შევკეთ ბეისგან და აღმშენებლობის ინჟინრის, აღმოსავლეთ ანატოლიის რკინის-გზების უფროსის, ყოფილ დეპუტატის და საზოგადო სამუშაოთა მინისტრის ამხანაგის მუხტარ ბეისგან. მე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი კონფერენცია ყარსში უფრო განამტკიცებს არსებულ კავშირს საბჭოთა საქართველოს და ოსმალეთს შორის და უფრო საბედნიერო გავლენა ექნება ჩვენი ხალხების და მთელი აღმოსავლეთის მომავალზე. სურს რა მუშაობის ადრე დაწყება და ღებულობს რა, მხედველობაში მანძილს, ჩემი მთავრობა წინადადებას გაძლევთ, რომ კონფერენცია გაიხსნას სექტემბრის უკანასკნელ კვირას.

ბ-ნო კომისარო, მე ვიქნები დიდი მადლიერი, თუ მაცნობებთ თქვენ თანხმობას ამ რიცხვზე, ისე როგორც საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაზე, რომელიც ბ. მდივნის თავმჯდომარეობით, რომელზედაც ჩვენ გვაქვს საუკეთესო მოგონება, წარმოადგენს საბჭოთა საქართველოს ყარსის კონფერენციაზე. კეთილ ინებეთ ბ. კომისარო და მიიღეთ რწმუნება ჩემი ღრმა პატივისცემაში.

ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობის გარეშე საქმეთა კომისარი იუსუფ ქემალი.

30 სექტემბერი 1921 წ.

ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობის გარეშე საქმეთა კომისარის იუსუფ ქემალის ნოტა სომხეთის გარეშე საქმეთა კომისარს ამხ. მრავიანს.

„სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს ბ-ნ მრავიანს. ერევანი.

მაქვს პატივი დავადასტურო თქვენი დეპეშა და შეგატყობინოთ თქვენ შემდეგი მოსაზრებანი და დაწვრილებითი ცნობები ყარსის მომავალ კონფერენციის შესახებ. იმ მიზნით, რომ მოწერილ იქმნას მოსკოვის ხელშეკრულებას მუხლი ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებთან ცალკე ხელშეკრულებებში, იმ მუხლების შესახებ, რომელიც მათ ეხება, ჩემი მთავრობა იწვევდა ზემოთაღნიშნულ რესპუბლიკათა მთავრობებს კონფერენციაზე ივლისის დასაწყისში, რომლის პროექტი გამომუშავებული იყო ბაქოში და თბილისში, ორივე ამ ქალაქებში ჩემი გავლის დროს გასულ გაზაფხულზე ჩემი მოსკოვიდან დაბრუნებისას. თქვენი დეპეშა 24—აგვისტოდან, მიმტკიცებს, რომ საბჭოთა სომხეთის მთავრობა ეთანხმება ჩვენს აზრებს, და რომ მომავალი კონფერენცია ყარსში არის სასურველი შემთხვევა ოსმალეთსა და საბჭოთა სომხეთს შორის დამოკიდებულების მოწესრიგებისათვის. ზედმეტი არის დამატება, რომ მე სავსებით ვიზიარებ თქვენს თვალსაზრისს, ამიერიდან ჩვენ ხალხთა შორის სრული თანხმობის აუცილებლობასა და ყველა მათი წარსული უთანხმოებათა დავიწყებაზე, რომელნიც იყო გამოწვეული, როგორც თქვენ ამას სისწორით აღნიშნავთ, იმპერიალისტური სახელმწიფოების დიპლომატიით და რომლებმაც მხოლოთ თვითონ ისარგებლეს ჩვენი ურთიერთ დავით. საბჭოთა რუსეთის მთავრობაც გზავნის დელეგატებს, რაც თქვენ უკვე უნდა იცოდეთ, ყარსში, რომ შეასრულონ დადგენილებანი, აღნიშნულნი მოსკოვის ხელშეკრულებაში, და მიიღონ საჭირო ზომები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში, რათა მათ დასდონ ხელშეკრულება ოსმალეთთან თანახმათ იმ მუხლებისა, რომელნიც ნაჩვენები არიან მოსკოვის ხელშეკრულებაში.

ოსმალეთის დელეგაცია ყარსის კონფერენციაზე იქნება ჩვენი აღმოსავლეთის არმიის მთავარსარდლის და ადრიანოპოლის დეპუტატის დიდ ეროვნულ ყრილობაში ქიაზიმ ყარა-ბექირ ფაშის მეთაურობით შემდეგი შემადგენლობისა: ველი ბეი: ბურდურის დეპუტატი იმავე ეროვნულ ყრილობაში, მამედ—შევკეთ ბეი, ოსმალეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ბაქოში და მუხტარ—ბეი—აღმშენებლობის ინჟინერი, აღმოსავლეთ ანატოლიის რკინის გზათა უფროსი, ყოფ. დეპუტატი და საზოგადოებრივი საქმეთა მინისტრის ამხანაგი. ჩვენ წინადადებას ვიძლევით კონფერენციის ყრილობის გახსნისათვის სექტემბრის ბოლო კვირაში, და დავალებული ვიქნებით თქვენგან, თუ შეგვატყობინებთ შესაძლებელი სისწრაფით, თქვენი დელეგაციის შემადგენლობას და თანხმობას აღნიშნულ დროზე კონფერენციის მოსაწვევისა. თქვენი პასუხის მოლოდინში, გარწმუნებთ, ბ. კომისარო, ჩემ ღრმა პატივისცემაში.

გარეშე საქმეთა კომისარი იუსუფ ქემალი.

ანგორა 30 აგვისტო. 1921 წელი.

გარეშე საქმეთა კომისრის იუსუფ-ქემალის ნოტა აზერბაიჯანის გარეშე საქმეთა კომისარს ამხ. ჰუსეინოვს.

ანგორა, 23 აგვისტო ს. აზერბაიჯანის გარეშე საქმეთა კომისარს. მადლობელი ვართ თქვენი დეპეშისთვის 24 აგვისტოდან, რომელიც მივიღე ანგორაში საბჭოთა რუსეთის ელჩის ნაცარენუსის საშუალებით. კონფერენციის მოსაწვევ ადგილათ ჩემი მთავრობა ირჩევს ყარსს, თანახმად ყველა სახელმწიფოთა სურვილისა. აღმოსავლეთის არმიის მთავარ სარდლის და დიდი ეროვნული ყრილობის დეპუტატის ქიაზიმ ყარაბექირის თავმჯდომარეობით და შემდეგი შემადგენლობით: ოსმალეთის დელეგაცია: ველი-ბეი დიდ ეროვნულ ყრილობაში დეპუტატი ბურდურიდან, მუხთარ-ბეი—მთავარი ინჟინერი აღმოსავლეთის რკინის გზათა, ყოფ დეპუტატი და საზოგადო მუშაობის მინისტრის ამხანაგი. ძალიან მადლობელი ვარ თქვენ მიერ გულწრფელი სურვილის გამოთქმისთვის შესახებ ჩემი დასწრებისა, მაგრამ მე ძალიან ვწუხვარ, რომ ბევრი საქმეების გამო ვერ შევძლებ პირადათ მივიღო მონაწილეობა კონფერენციაში.

მე მსურს, რომ მალე დაიწყოს კონფერენციის მუშაობა, რომელმაც უფრო მეტად უნდა დაამტკიცოს ისედაც არსებული კავშირი ორ ხალხთა შორის. მეორე მხრით ჩემმა მთავრობამ უნდა მიიღოს მხედველობაში მანძილის სიშორე და ამისათვის წინადადებას იძლევა სექტემბრის ბოლო კვირაში კონფერენციის მოწვევისათვის.

გთხოვთ შეგვატყობინოთ თქვენი აზრი ამ დროის შესახებ და დელეგაციის სახელი, რომლის მეთაურობით იქნება აზერბაიჯანის დელეგაცია კონფერენციაზე.

გთხოვ მიიღო ჩემგან ღრმა პატივისცემა.

გარეშე საქმეთა კომისარი

იუსუფ ქემალი.

წითელ რესპუბლიკებში

რ უ ს ე თ ი

ჩიჩერინის ნოტა ანტანტისადმი.

მოსკოვი, 8 სექტ. (რადიო). ამხ. ჩიჩერინმა მიმართა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და ბელგიის მთავრობებს ნოტით შესახებ ნულანსის მომართვისა საბჭოთა მთავრობისადმი, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია:

„დიდის გაკვირვებით გაეცნო რუსეთის საბჭოთა მთავრობა ოთხს სექტემბერს ბ. ნულანსიდან მიღებულ ნოტის შინაარსს, რომელიც გვიჩვენებს რომ ამ პირის მეთაურობით შემდგარი კომისია დამშეულთადმი დახმარებისა ნამდვილი დახმარების ნაცვლად, ისეთს ნაბიჯებს სდგამს, რომელიც გვაეჭვებს რუსეთის გაჭირვებულ გლეხებისადმი თვით დახმარების სურვილშიაც კი. თვით სახელი ნულანსისა როგორც საფრანგეთის წარმომადგენლისა „მშიერთა დამხმარე საერთაშორისო კომისიისა" და შემდეგ, როგორც თავმჯდომარე ამავე კომისიისა მთელი რუსეთის მშრომელთა მასახლეობის ფართო მასაში იწვევს აშკარა გულისწყრომას.

რუსეთის მშრომელ ხალხს არ დავიწყებია მისი სახელი, ვინაც მისი სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლის დროს წინააღმდეგ კონტრ-რევოლიუციისა და უცხოელთა ჩარევისა, წარმოადგენდა მისთვის მოსისხლე მტრის, მათ არ დაივიწყებიათ ის, რომ რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობის არსებობის პირველ დღეებიდანვე უცხოელთა წარმომადგენელთა შორის ბ. ნულანსი ყველაზე მეტად ცდილობდა, რომ არ დაშვებულიყო შეთანხმება და საურთიერთო გზები საბჭოთა მთავრობასა და იტალიის მთავრობათა შორის.

ბ. ნულანსმა მთელი ძალღონე მოახმარა შეთქმულობის მოწყობას რესპუბლიკისა და მისი ხელმძღვანელების საფრთხეში ჩასაგდებათ აჯანყების მომზადებით, ყოველ ნაირ ავანტიურის მონაწილეთა შეკრებით რესპუბლიკის საწინააღმდეგოთ, ხიდების აფეთქების ცდით, რკინის გზის მოძრაობის შეფერხებით და სხვა.

ბ. ნულანსს მიუძღვის უმთავრესი დანაშაული ჩეხო-სლოვაკების აჯანყებაში. ბ. ნულანსი ერთი უფრო აქტიური ხელმძღვანელია ბლოკადის იმ სისტემისა, რომელმაც მთელი რუსეთის ხალხი მიიყვანა განადგურებამდე და სილატაკემდე, რაიც უმთავრესად მიზეზია დღევანდელი უმაგალითო გაჭირვებისა და შიმშილისა. საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მუდმივი შეთქმულებათა ხელმძღვანელის დანიშვნამ „მშიერთა დამხმარე საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარეთ" უკვე თავისთავად ღრმა განცვიფრებაში შეიყვანა რუსეთის ხალხის ფართო მასა და გამოიწვია მათში უდიდესი უკმაყოფილება. სახელი ბ. ნულანსისა უკვე მთელი პროგრამაა. თვით ფაქტი მისი დანიშვნისა ამ საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარე და წარმომადგენლათ საფრანგეთისა, რომელიც დღემდე განაგრძობს შეურიგებელ ბრძოლების პოლიტიკას წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთისა, ახდენს აგრეთვე სამწუხარო შთაბეჭდილებას რუსეთის მშრომელ მასაზე. მშიერთადმი დახმარების ნაცვლათ მას სურს შეუდგეს ფართო დეტალურს გამოძიებას. არც ამერიკელ დამხმარე ასოციაციას, რომელიც უკვე საქმით შეუდგა შიმშილით მომაკვდავ ბავშვებისათვის საკვების მიწოდებას, არც უმაღლესი კომისარი ნანსენს კონფერენციისა ნახსენი არა სთვლიან არც საჭიროთ და არც შესაძლებლათ შეზღუდონ შიმშილისაგან მომაკვდავთ დახმარება რამდენიც გამოძიების წარმოების გულისათვის. კომისია, რომელსაც მეთაურობს საფრანგეთის წარმომადგენელი ნულანსი—ინიციატორი ინტერვენციისა მშიერთა დახმარებას ცვლის ამ გამოძიებაზე, იმ დროს, როცა საფრანგეთის მთავრობა უგზავნის აუარებელ სამხედრო საჭურველს პოლონეთსა და რუმინეთს, სადაც სავინკოვისა და ლიტვინოვის ხელმძღვანელობით თეთრ გვარდიელთა ბანდები უკანასკნელ დროს ღონიერ მოქმედებას იწყებენ საბჭოთა საზღვრებთან.

საბჭოთა-საზღვრებთან თავმოყრილი პოლონეთისა და რუმინეთის თეთრ-გვარდიელნი მოდმივად იჭრებიან საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრებში და ყოველგვარათ ხელს უშლიან რესპუბლიკის უფრო მოსავლიან ადგილებში პურის აკრეფას, რითაც უფრო ხელს უწყობენ შიმშილობას. საერთაშორისო კომისიის წევრთა შორის ჩვენ ვხედავთ აგრეთვე იაპონიის წარმომადგენელს, რომელიც დღემდე უარს არა ყოფს აქტიურ შეიარაღებულ ინტერვენციას მეგობარ რესპუბლიკის საზღვრებში და მხარს უჭერს თავისი ჯარით კონტრ-რევოლიუციონურ ჯგუფს, რომელმაც მისი დახმარებით ხელთ იგდო ხელისუფლება იაპონიის ოკუპაციის რაიონში, შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკებში. თითქო და სცინოდეს შიმშილით დაღუპვის კარზე მიმდგარ მილიონ გლეხებს რუსეთის აღმოსავლეთ გუბერნიებისას და აშკარავებდეს მთელი მსოფლიოს წინაშე თავის უგულობას, ბ. ნულანსის კომისიას სურს შეისწავლოს თესვის პირობები იმ დროს, როცა თვით თესვის პერიოდი დასასრულს უახლოვდება, როცა თვით რუსეთის მშრომელთა მასა საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით უდიდესი ძალღონის ფასით ღებულობს თესვის დიდ რიგში მნიშვნელოვან წარმატებას უფრო რაიონებში.

იმ დროს, როცა ათი მილიონობით ხალხი მოკლებულია ყოველგვარ სურსათს და მასსიურად იხოცება შიმშილით, ბ. ნულანსის კომისია პურის ნაცვლად გვწოდებს ცნობების შეკრებას, შესახებ რუსეთის მეურნეობისა.

დახმარებისათვის საჭირო ცნობების შეგროვება ყოველი წესის ადვილი საქმეა, და ამისათვის საჭირო არ არის შეწყვეტა ნამდვილი დახმარებისა, რომ ბ. ნულანსის კომისიას არა აქვს საქმიანი სურვილი დახმარებისა, ეს კიდევ უფრო გვხვდება თვალში იმ დროს თუ შევადარებთ იმ დიდს შედეგებს, რომელსაც მიაღწია ყველა ქვეყნის მშრომელთა მასამ თავისი მცირე ხელფასიდან ფულის შეგროვებაში, რომლებმაც მოაწყვეს კრებები, მიტინგები და სხვ. მუშათა მასა არ ელის ცნობების შეგროვების დასრულებას. ისინი დაუყოვნებლივ შეუდგნენ და ეგრევე უწევენ დახმარებას.

საბჭოთა მთავრობა შესძლო ე[illegible]ქრნა, რომ რუსეთის მშრომელ დამშეულთათვის დახმარების საქმეს [illegible] მიანდობდნენ მისი მოსისხლე მტრებს, როგორც ბ. ნულანსია.

კომინტერნის მესამე კონგრესი

სხდომა მეთერთმეტე (1 ივლისი)-

სხდომას ხსნის დილის 12 საათსა და 40 წ. ამხ. კენენი, რომელიც იტყობინება, რომ პრეზიდიუმში შემოვიდა განცხადებები მრავალ დელეგატებისაგან, რომლებიც წინადადებას აძლევენ დაჩქარონ კამათი მოხსენების შესახებ, ვინაიდან აუცილებელი საჭიროა წითელ პროფკავშირების კონგრესის მუშაობის რაც შეიძლება მალე დაწყება. პრეზიდიუმს აუცილებელ საჭიროთ მიაჩნია დაასრულოს დებატები დღევანდელ ორ სხდომის განმავლობაში.

შემდეგ კონგრესი გადადის დებულებებზე ამხ. რადეკის მოხსენების შესახებ.

პირველათ ღებულობს სიტყვას ამხ. ჰემპელი (გ. კ. მ. პ.), რომელიც ამბობს დიდ პროგრამულ სიტყვას გ. კ. მ. პ. პოზიციის შესახებ.

— ჩვენ სავსებით ვეთანხმებით,— ამბობს ის,—ამხ. რადეკის პირველ დასკვნას იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმი განიცდის ახლა კრიზისს. ჩვენი აზრთა სხვადასხვაობა იწყება იმ კითხვაზე თუ როგორი ტაქტიკა აწარმოოს პროლეტარიატმა. ვხედავთ რა რევოლიუციების ეპოქას 1917 წ. დაწყებული, ვამჩნევთ, რომ ყველა ისინი ფეხზე აყენებდენ პროლეტარიატის მასსიურ ორგანიზაციებს საბჭოების სახით. უფრო ნაკლები ყალიბის რევოლიუციონურ შეტაკებებში, რომლებსაც ადგილი ჰქონდა იტალიაში და ინგლისში პროლეტარიატი ქმნიდა აგრეთვე სტიქიურათ მასიურ ორგანიზაციებს საბჭოებისა და ფაბკომების სახით. ჩვენ ვფიქრობთ ამიტომ, რომ რევოლიუციის მიერ წარმოშობილი ორგანიზაციის ეს ფორმები კომუნისტებმა უნდა აღიარონ აგრეთვე პროლეტარიატის ორგანიზაციის ფორმებათ რევოლიუციის მომზადების პერიოდშიაც. ომამდე ძველი მუშათა მოძრაობის ამოცანები იყო მუშათა მდგომარეობის უშუალო გაუმჯობესობა, და ძველი მუშათა მოძრაობის ყველა ფორმები შეფარდებული იყო სწორეთ ამაზე. მაგრამ ახლა ეს ამოცანები შეიცვალა, და შესაფერისათ უნდა შეიცვალოს ორგანიზაციისა და ბრძოლის ფორმებიც.

რევოლიუციების პერიოდში მუშათა ორგანიზაციებს არ შეუძლიათ აწი დაისახონ მიზნათ ბრძოლა პარლამენტებში მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ ან და სამუშაო ქირის გადიდება გაფიცვების შემწეობით. ტყუილათ კი არ შეუქმნია ძველ მუშათა მოძრაობას სპეციალური ორგანიზაციები, ვინაიდან იმ მიზნებისათვის, რომლებსაც ისინი ისახავდენ იყო საჭირო არა რევოლიუციონური მებრძოლები, არამედ პოლიტიკები, რომლებსაც შეეძლებოდათ მოლაპარაკების წარმოება როგორც პარლამენტებში, ისე მეწარმეებთან. მუშათა კლასის მდგომარეობის ცოტ-ცოტათი გაუმჯობესობისათვის ბრძოლის ნიადაგზე შექმნილი პროფკავშირები არ შეიძლება რევოლიუციის ინსტრუმენტათ გახდენ. პროლეტარიატმა უნდა შექმნას ორგანიზაციები, რომლების ერთად ერთი მიზანი იქნება კაპიტალისტური წყობილების დანგრევა.

ჩვენ ვხედავთ ამას გერმანიაში, სადაც ფაბკომები აწარმოებენ რევოლიუციონურ ბრძოლას და იძულებული არიან წავიდენ ამ გზით პროფკავშირების წინააღმდეგ. ამის გარეშე შეუძლებელია კომუნისტებისათვის პროლეტარიატის რევოლიუციონური ბრძოლის სათავეში ჩადგომა. ჩვენი ამოცანა უნდა იყოს პროლეტარიატის შეკავშირება საწარმოვო დაწესებულებათა მიხედვით ერთად ერთი მიზნისათვის—რევოლიუციის მოსახდენათ.

ჩვენი მტერი—ბურჟუაზია—ღებულობს ამ ჟამათ ჩვენს წინააღმდეგ თავის ზომებს. ის ვერ შესძლებს, რასაკვირველია, აღადგინოს სავსებით სამეურნეო ცხოვრება, მიაღწიოს ძველი კაპიტალისტური მეურნეობის სრულ წონასწორობას. მაგრამ ისინი შესძლებენ, ჩვენ ვამჩნევთ ამას ამ ჟამათ, მრეწველობის გულის კრისტალიზაციას, მეურნეობის ერთი ნაწილის კონსოლიდაციას მისი სხვა ნაწილების ხარჯზე. ამას უნდა მოყვეს პროლეტარიატის რასკოლი. მისი ნაწილი, მეურნეობის ამ ჩამოყალიბებულ ნაწილში დაბანდებული, დაუპირდაპირდება უმუშევართა ვეებერთელა მასას, რომელსაც სიმშილით დახოცვა მოელის. ჩვენი ვალია ყველა ზომებითა და საშუალებებით ხელი შეუშალოთ ასეთ კონსოლიდაციას და თავიდან ავიცილოთ პროლეტარიატის რასკოლი. ჩვენ არ უნდა გავექცეთ ბურჟუაზიასთან ბრძოლას. ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ პროლეტარიატი გადავაჯგუფოთ ერთი მხარეზე უმუშევართა წარმომადგენლები საბჭოების სახით და მომუშავეთა წარმომადგენლები ფაბკომების სახით. მხოლოთ ამ გზით შევქმნით ჩვენ პროლეტარიატის ერთიან მებრძოლ ორგანიზაციას.

გადადის რა საკითხზე თავდასხმისა და თავდაცვის შესახებ და გერმანიაში მარტისა და იტალიაში სექტემბრის ამბების გარჩევაზე, ორატორი ამტკიცებს, რომ არსებობს პროლეტარიატის თავდაცვითი მოქმედებები, რომ შეუძლებელია ამიტომ გაგებულ იქნეს პროლეტარიატის ესა თუ ის გამოსვლა, როგორც თავდაცვის აქტი. კომუნისტების ამოცანაა დღევანდელ მომენტში,—ამბობს ის,—შეტევაზე გადასვლა და განუწყვეტელი მხარის დაჭერა პროლეტარიატისათვის მის შეტევითი მოძრაობაში. მარტის ამბების ძირითად შეცდომათ ამხ. ჰემპელს მიაჩნია კაპიტალიზმის დამხობის ლოზუნგის უქონლობა მასში. მარტის ამბები სრულიადაც არ შეიძლებოდა ყოფილიყო უკანასკნელ იერიში კაპიტალისტურ წყობილებაზე. ამას ჩვენც ვეთანხმებით. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ არ იყო საჭირო უკიდურეს ლოზუნგის წამოყენება. იანვრის გაფიცვამ 1918 წ. გერმანიაში მოამზადა ნოემბრის ამბები. სწორეთ ასევე მარტის ამბებს შეეძლო მოემზადებინა გადამწყვეტი იერიში კაპიტალისტურ წყობილებაზე გერმანიაში. ასეთია ის გაკვეთილი, რომელიც უნდა ამოიღოს არა მარტო გერმანიის პროლეტარიატმა, არამედ მთელმა ინტერნაციონალმაც.

ათავებს რა თავის სიტყვას, ორატორი ხელახლა უბრუნდება საკითხს მებრძოლი პროლეტარიატის შეკავშირების შესახებ. ორგანიზაციის ერთად ერთ სწორ ფორმათ მას მიაჩნია ორგანიზაცია საწარმოვო დაწესებულებების მიხედვით, რომლებიც ერთიანდებიან ცალკე დარგებათ და შემდეგ ქვეყნებათ. იმისთვის, რომ ბრძოლა ამ ორგანიზაციებში იქნეს ნაყოფიერი, პროლეტარიატს უნდა ჰყავდეს თავისი პარტია—კომუნისტური. ეს პარტია იმდენათ მტკიცე და დისციპლინიანი უნდა იყოს, რომ შეეძლებოდეს მართვა მხოლოთ ერთი ცენტრიდან. ის უნდა იყოს მაგარი მტკიცეთ შეკავშირებული პროლეტარული გული. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ის უნდა იყოს სექტიათ, რომ ის იყოს პატარა. აუცილებელი საჭიროა მხოლოთ კავშირის გაწყვეტა პროფკავშირებთან და პარლამენტარიზმთან.

სინდიკალისტებსა და ანარქისტებს, რომელთა ტაქტიკა წინანდელ ეპოქაში ნაადრევი იყო, არ აქვთ მუშათა მასსების მჭიდროთ შეკავშირებისა და გაერთიანების გამოცდილება. კომუნისტების საქმეა გამოიყენონ ისინი რევოლიუციისათვის, ჩაუდგნენ მათ სათავეში. კომუნისტებისათვის საკითხები პარლამენტარიზმისა და პროფკავშირების შესახებ არის არა პრინციპიალური, არამედ პრაქტიკული. მე 3 კონგრესის წინაშე დგას საკითხი წავა ის ძველი მუშათა მოძრაობის გზით, თუ გადადგამს გაბედულ ნაბიჯს მემარცხენე ელემენტებთან გაერთიანებისაკენ და ახალ მუჯლუგუნს კრავს რევოლიუციას. ამ საკითხის გადაჭრაზეა დამოკიდებული ჩვენი საკითხიც, საკითხი გ. კ. მ. პ. დამოკიდებულებისა მე III ინტერნაციონალთან.

ამხ. ტერაჩინი. (იტალიის კომუნისტური პარტია)—მე თავდაპირველათ უნდა განვაცხადო,—ამბობს ის,—რომ ჩვენ არ გვსურს შევცვალოთ ამხ. რადეკის თეზისები მის ძირითად დებულებებში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამხ. რადეკის თეზისები ტაქტიკის შესახებ მჭიდროთ დაკავშირებული ამხ. ტროცკის თეზისებზე მსოფლიო მდგომარეობის შესახებ. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამხ. რადეკის თეზისებში საჭირო იქნება ზოგიერთი ცვლილებების შეტანა. მაგალითად, იტალიის შესახებ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მტკიცება იმისი, რომ იტალიის მასსები ეძებდენ შველადებს კაპიტალიზმთან საბრძოლველათ სინდიკალისტებსა და ანარქისტებში, არ შეეფერება სინამდვილეს. იტალიის პროლეტარიატმა დაინახა ის შემდეგ, რომელიც მოყვა ლივორნოს კონგრესს, ჰპოვა თავისი ორგანიზაციული გული კომპარტიის სახით. ამიტომ შემოგვაქვს ჩვენ შესაფერი ცვლილება.

კამათში, როგორც კომინტერნის აღმასკომის ანგარიშის შესახებ, ისე კონგრესის კამათში საერთოთ, ბევრს ლაპარაკობდენ მემარცხენე ტენდენციებთან ბრძოლის შესახებ. ეს გამოიხატა აგრეთვე საფრანგეთის კომპარტიის საკითხშიაც. როდესაც საფრანგეთის კომუნისტური ახალგაზრდობის წარმომადგენელი ცდილობდა ნათლად დაენახვებინა საფრანგეთის კომპარტიის ოპორტუნიზმი და როდესაც მას მოჰყავდა მაგალითები და ფაქტები, რომლებიც ღაღადებდა, რომ საფრანგეთის კომპარტიამ არ დაიკავა ჭეშმარიტად რევოლიუციონური პარტია, ჩვენ დავინახეთ, რომ ბევრმა ამხანაგებმა გაილაშქრეს მის წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამხ. რადეკის თეზისებში ბევრი მეტად ძლიერი სიტყვებია მემარცხენე ტენდენციების წინააღმდეგ, როგორც საფრანგეთის ისე სხვა პარტიებშიაც. ის გარემოება, რომ გავაძევეთ კომინტერნიდან პაულო ლევი და გადავაყენეთ იტალიის სოციალისტური პარტია და მასთან ერთად სერატიც, კიდევ ნიშნავს, რომ კომინტერნი უკვე სავსებით განთავისუფლდა ყველა ცენტრისტულ ტენდენციებისაგან და მათი რეციდივების საფრთხისაგან მომავალში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბევრ პარტიებში, რომლებიც ეკუთვნიან მე 3 ინტერნაციონალს, ჯერ კიდევ არის ცენტრისტული ტენდენციები და რომ საჭიროა ბრძოლის გაგრძელება მათ წინააღმდეგ. ზოგიერთი პარტიები მხოლოდ პროლეტარულ მასსების ნათლად გამოხატულ ნების გამო მიემხრენ მე 3 ინტერნაციონალს ბელადების სურვილთა წინააღმდეგ. უკანასკნელები ახლა იმყოფებიან მე 3 ინტერნაციონალში მხოლოდ იმიტომ, რომ მასებმა მოისურვეს მასში შესვლა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ბელადებს ხელახლა შეუძლიან დაიწყონ ცენტრისტულ და რეფორმისტულ პოლიტიკის წარმოება. კომინტერნის აღმასკომმა სასტიკათ უნდა ადევნოს თვალყური ასეთი ბელადების მოღვაწეობას, და არ დაუშვას, რომ ხელახლა გამოჩნდეს მეორე სერატი ან ლევი. ამიტომ მე მგონია, რომ საჭიროა არა იმდენათ მემარცხენე ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლისათვის ხაზის გასმა, რამდენათაც მემარჯვენე ტენდენციების წინააღმდეგ, განსაკუთრებით თეზისების იმ ნაწილში, რომელიც ეხება საფრანგეთის კომპარტიას. საფრანგეთის პარტიას შეიძლება ვურჩიოთ მხოლოდ მიაქციოს განსაკუთრებითი ყურადღება მემარჯვენე ტენდენციებს.

არის მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, სახელდობრ საკითხი დიდი მასიურ პარტიების შესახებ, კერძოთ ჩეხო-სლოვაკიაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისეთი პატარა ქვეყნის კომპარტიას როგორიცაა ჩეხო-სლოვაკია, რომელშიაც ირიცხება 400,000 მეტი წევრი, დღევანდელ მომენტში აქვს დანარჩენ მუშების გადმობირების ამოცანის გარდა კიდევ სხვა ამოცანაც, სახელდობრ: მოქმედებით დაანახვოს მასებს, რომ კომპარტია ჭეშმარიტი წარმომადგენელია პროლეტარიატის. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ საჭიროა დაცდა რევოლიუციონურ გამოსვლებით იმ მომენტამდე სანამ პროლეტარიატის უმრავლესობა იქნება შეკავშირებული და კომუნიზმის პრინციპებით გაღენთილი. ჩვენ ბევრჯერ გაგვიგონია, რომ რუსეთის რევოლიუცია მოხდა იმ მომენტში, როდესაც კომპარტია, როგორც ორგანიზაცია, უმცირესობაში იყო. როდესაც მე ვკითხულობდი ამხ. რადეკის თეზისებს, მივიღე შთაბეჭდილება რომ მას მიაჩნია, რომ გამარჯვების მისაღწევათ რევოლიუციონურ ბრძოლაში აუცილებელი საჭიროა პროლეტარიატის დიდი ნაწილის შეკავშირება. ჩვენ არ მიგვაჩნია ეს სწორეთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა მუშები, რომლებიც ეკუთვნიან ამ ჟამათ დემოკრატიულ და რეფორმისტულ პარტიებს, გადმოყვანილ იქნება ჩვენს მხარეზე უფრო მეტად აქტიური მოქმედებით, ვიდრე ჩვენი პროპაგანდით.

ამგვარათ, არაა საჭირო მტკიცება თეზისებში, რომ კომპარტიის უმთავრესი ამოცანაა პროლეტარიატის რაც შეიძლება მეტი ნაწილის გადმობირება კომუნიზმისაკენ, და უფრო სწორეთ, საჭიროა პროლეტარიატის ამ დიდი ნაწილის ჩათრევა რევოლიუციონურ ბრძოლაში.

რეფორმისტები ამბობდნენ, რომ რევოლიუციონური ბრძოლის დაწყება შეუძლებელია მანამ, სანამ პროლეტარიატის უმრავლესობა არ იქნება შეკავშირებული. ეს დემოკრატიული პრინციპია, რომელთაც სურთ გამოიყენონ კომპარტიის დაარსებისათვის. ეს პრინციპი კარგია რეფორმისტებისათვის, მაგრამ ის არ ვარგა კომინტერნის თეზისებისთვის. გერმანიის გაერთიანებული კომპარტიის ერთ ამოცანათაგანს წარმოადგენს აგრეთვე თავის გავლენის გაფართოვება მასებზე. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისეთ პარტიის წინაშე, როგორიცაა გერმანიის, რომელსაც ჰყავს მომხრეთა დიდი რიცხვი, დგას უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, სახელდობრ: უხელმძღვანელოს მასებს პროლეტარიატის უახლოეს გამოსვლების დროს გერმანიაში. მე ვიყავი რამდენიმე დღე გერმანიაში და, როდესაც დავბრუნდი იტალიაში, შევნიშნე, რომ გერმანიის პარტიის გავლენა და პოპულიარობა გაძლიერდა იტალიის პროლეტარიატში მარტის გამოსვლების შემდეგ, მიუხედავათ იმისა, რომ ის დამარცხებით დამთავრდა. მარტის მოძრაობამ გერმანიაში გაგვიწია მეორე სამსახურიც: მან ამხილა ბევრი ოპორტუნისტები და რეფორმისტები. მე ვფიქრობ, რომ რეფორმისტებზე გამარჯვებაში ჩვენ უნდა ვხედავდეთ გამარჯვებას ბურჟუაზიაზედაც. ეს მხოლოდ სასარგებლო იყოს შეიძლება პროლეტარიატისთვის. მარტის ბრძოლაში გერმანიის პარტიას შეეძლო დარწმუნებულიყო, თუ როგორია დისციპლინა ძალა მოქმედების დროს. ამიტომ გერმანიის მუშებს აქვთ ახლა გამოცდილება, რომელიც არ ქონიათ მათ მარტის გამოსვლამდე და რომელიც აგრეთვე არც ჩვენ გვქონია ჯერ კიდევ. ჩვენ მიერ წარმოდგენილი შესწორებები მდგომარეობს შემდეგში: არ უნდა გადავამეტოთ ბრძოლა მემარცხენე ტენდენციებთან და სრულიად უყურადღებოთ დავტოვოთ მემარჯვენე ტენდენციები, რომლებიც შემჩნეულია კომპარტიაში და რომლებიც წარმოადგენს უფრო მეტ საფრთხეს კომუნიზმისათვის, ვიდრე მემარცხენე; რევოლიუციონურ ბრძოლისათვის სრულიადაც არაა აუცილებელი, რომ კომპარტიებში ჩათრეულ იქნეს პროლეტარიატის უმეტესი ნაწილი, საკმარისია სარგებლობდეს კომპარტიები ფართო მასების სიმპატიით.

ამხ. ტერაჩინის შემდეგ გამოდის ამხ. ლენინი.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ის მოელის, რომ დახმარების ორგანიზაცია ასე მოექცევა თავის ამოცანებს, იმგვარად საქმიანათ, როგორც მოიქცა უმაღლესი კომისარი ნანსენი. ის მოელის რომ თვით საქმე დახმარებისა დაუყონებლივ განხორციელდება და არა შეჩერებით, რომელიც სპობს თვით აზრს ამ დახმარებისას. და დახმარების საქმე არ გადაიქცევა მშრომელ რუსეთზე თავდასხმის მოსამზადებლად.

ყოველ საქმიან პრაქტიკულ ცდას რუსეთის დამშეულთა დასახმარებლად, რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობა სავსებით შეუწყობს ხელს ნანსენის კომისიის წინადადებას კი საბჭოთა მთავრობა უცქერის, როგორც უმაგალითო დაცინვას მილიონ მომაკვდავ დამშეულთა მიმართ.

საგარეო საქმეთა ს. ხ. კომისარი ჩიჩერინი.

განათლების მუშაკთა ყრილობა.

მოსკოვი. 8 აგვ. (რადიო). 1 ოქტომბრისათვის მოწვეულია სრულიად რუსეთის, განათლების მუშაკთა ყრილობა.

სახელმწიფო სანიმუშო ფაბრიკა.

პეტროგრადი. 5 აგვ. (რადიო). ამერიკელ მუშებმა საბჭოთა რუსეთს გამოუგზავნეს საჩუქრათ საკერავი მანქანები, მაკრატლები, სპეციალური დანები, ძაფი და სხ. ამ საქონელთან ერთად ჩამოსული მუშები აწყობენ სანიმუშო ქუდის ფაბრიკას. სახელმწიფოს ახალ ფაბრიკას უერთებენ მე-3 და მე 13 სახელმწიფო ფაბრიკებს.

ანტრაციტის ამოღება.

მოსკოვი. 2 სექ. (რადიო), პოლტავა-ბროდსკის მაღაროებში წლის დასაწყისიდან ამოღებულია 2.200000 ფუთი ანტრაციტი. მუშაობა ფერხდება ტრანსპორტის და სურსათის უქონლობის გამო. პირობათა გაუმჯობესებით მაღაროებს შეუძლიანთ 160 პროც. დავალების ასრულება.

ოქროს ამოღება.

ჩელიაბინსკი. 27 ოქტ. (რადიო). ოქროს მადნეულობის კომისიის დავალებით ოლქში, იმედოვნებდნენ 1 ფ. 23 მისხალ ოქროს ამოღებას, ამოღებული კი 1 ფუთი და 19 გირვანქა. 634 მუშით.

ვაჭრობა ლონდონთან.

არხანგელსკი. 30 აგვისტო. (რადიო). სექტემბრის პირველ რიცხვებში ინგლისიდან არხანგელსკში მიემგზავრება გემი სურსათით და მანუფაქტურით, საერთო წონა საქონლისა უდრის 130,000 ფუთს. ამ საქონლის საფასურად არხანგელსკიდან ლონდონში მიდის 2 გემი, დატვირთული წებოთი, ზღვის მხეცის ტყავით და სხვ.

ბრძოლა სიმშილობასთან

კომინტერნის მოწოდება ამერიკელ მუშებისადმი.

მოსკოვი 7 სექტემბერი (რადიო) საბჭოთა რუსეთის ვოლგის გუბერნიებში მძვინვარე შიმშილობა, თანაგრძნობას პოულობს მთელ მსოფლიოს პატიოსან მუშათა შორის. პროლეტარები ისწრაფიან შრომის პირველ რესპუბლიკისთვის დახმარების გაღწევათ. კომუნისტურმა ინტერნაციონალმა მოუწოდა მთელ მსოფლიოს მუშებს, განურჩევლად მიმართულებისა, საბჭოთა რუსეთის დამშეულ გუბერნიების დახმარების მოსაწყობად. ევროპის ყველა ქვეყნის მუშები აწყობენ ამ მიზნისთვის ცენტრალურ კომიტეტებს, სადაც შედიან წარმომადგენელნი ყველა პროფკავშირების, მუშათა კოოპერატივების და სხვა.

ახლა, კომინტერნი მოგმართავთ განსაკუთრებით თქვენ, ამერიკელო მუშებო. თქვენ უნდა მოაწყოთ თქვენი უპარტიო მუშათა დამხმარე კომიტეტი საბჭოთა რუსეთის დამშეულ გუბერნიებისათვის.

სინდისის მოვალეობა ამერიკელი მუშებისა მოითხოვს, რომ მათ აღმოუჩინონ დახმარება დამოუკიდებლათ დამშეულ რუს ძმებს. საუკეთესო დახმარება ერთდღიური შემოსავლის გადადება საბჭოთა რუსეთის დამშეულთა სასარგებლოთ. ყველა შეწირულებანი ფულით და სურსათით საერთოთ გაიგზავნოს, მუშათა წარმომადგენლების მიერ უშუალოთ საბჭოთა ხელის უფლების სახელზე.

დაუყონებლივ შეადგინეთ დამშეულთა დამხმარე კომიტეტები. არ ჩამორჩეთ ევროპის მუშებს.

ამხ. ილიკო მგელაძის ხსოვნას

სამგლოვიარო დეპეშები.

თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის თანამშრომელთა კომიაჩეიკა მწუხარებით აღნიშნავს ერთერთ მოხუცი კომუნისტის და დაუღალავი მოღვაწის ამხ. ილიკო მგელაძის დაკარგვას, მის ცხედრის წინაშე ფიცს ვსდებთ, რომ ის წმ. ნდა საქმე, რომელსაც იგი ემსახურებოდა, მიიყვანოთ საბოლოო გამარჯვებამდის და არც ერთ წუთს არ უღალატებთ მას.

კომიაჩეიკის მინდობილობით ამხ. გოგიტო ციმბირელი.

— დღეს, 8 ენკენისთვეს ქ. თბილისიდან ამხანაგებმა გვაცნობეს სამწუხარო ამბავი ძვირფას და დაუღალავ მუშაკთაგანის, ამხანაგ ილიკო მგელაძის გარდაცვალება. დიდათ ვწუხვართ ძვირფას ამხ. დაკარგვას.

კომპარტიის ხატის-თელეთის ქვერაიონის ორგანიზაციის წევრების მინდობილობით, პასუხისმგებელი მდივანი გ. ალექსიშვილი.

— ჩვენ, კოჯრის რაიონის ახალგაზრდა კომუნისტები მწუხარებით შევხვდით ილიკო მგელაძის დაკარგვას, მშვიდობით ძვირფასო მებრძოლო, შენი უანგარო მუშაობა და წმინდა იდეები ღრმად არიან ჩანერგილნი ჩვენს აზროვნებაში. ფიცსა ვდებთ შენს ცხედრის წინაშე, რომ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ვუდგებით დარაჯათ იმ მიძღვრებას, რომელსაც შენ შესწირე სიცოცხლე, უკანასკნელი სალამი უფროსო ამხანაგო ილიკო.

მდივანი კოლხიტაშვილი.

— კოჯრის რაიონის დარაჯთა პროფესიონალური კავშირი დიდის მწუხარებით შეხვდა ამხ. ილიკო მგელაძის სიკვდილს. მასში დავკარგეთ დაუღალავი მუშაკი და დამცველი მშრომელი ხალხის ინტერესების მისი უანგარო ღვაწლი სამუდამოთ დარჩება მაგალითად ჩვენს მუშების ხსოვნაში.

თავმჯდომარე კორინთელი.

მასწავლებელი ნადეჟდა გაქრაძის ასული

—ექვს სექტემბერს, სამშაბათს, დილით უეცრად გამოესალმა სიცოცხლეს მასწავლებელი ქალი ნადეჟდა შაქარაძის ასული. დღიდან ქართულ წითელ ცხენოსანთა ამ ბრიგადის დაარსებისა განსვენებული მსახურობდა ხსენებულ ბრიგადის კანცელარიაში. 14 ივნისს გაიხსნა № ბრიგადის სკოლა. განსვენებული ახალგაზრდული გატაცებით მუშაობდა ქართველი ჯარისკაცთა გათვითცნობიერების საქმეში. მისთვის განსაზღვრული დრო არ იყო ის დღე ნიადაგ თავს დასტრიალებდა ჯარის კაცებს. ამიტომ იყო, რომ მან სულმოკლე დროში შესძლო თავის მოწაფეთათვის წერა-კითხვის სწავლება, ასეთივე გატაცებით ახდენდა იგი წერა-კითხვის არ მცოდნეთა ლიკვიდაციას. და აი დღეს ასე მოულოდნელად გამოგვეცალა ხელიდან ეს საყვარელი ამხანაგი ნადეჟდა მუხთალმა სიკვდილმა. მას არასდროს არ დაივიწყებს მისგან გათვითცნობიერებული ქართველი ჯარის კაცები.

განისვენე თავდადებულო მასწავლებელო იშვიათი ერთგულებით და სიყვარულით გამსჭვალული ადამიანო. მუდამ უკვდავი იქნება შენი ხსოვნა შენს მეგობარ ჯარის კაცებში რომელთა შორის შენ ასე თავდადებით იღვწოდი.

პ. თალაკვაძე

ქრონიკა

◆ **კოოპერატივი „უნივერსალი“** ყოფილ მასწავლებელთა კოოპერატივმა „უნივერსალმა“ განაახლა მუშაობა და ამიერიდან წევრებად მიიღებს განათლებისა და სოც.-კულტურის მუშაკთა კავშირის წევრებს.

◆ **რევოლიუციონური თეატრი.** შაბათს, 10 კვირას 11 სექტემბერს რევოლიუციონურ თეატრში (პლეხანოვის ქ. ყოფ. სახელოსნო კლუბი) დაიდგმება პიესა „რიჟრაჟი“ ემილ ვერჰარნისა.

◆ **ამხ. მახარაძის ბროშიურა.** თბილისში—მოსკოვიდან მიღებულია ამხ. მახარაძის ბროშიურა „მენშევიკურ პარტიის დიქტატურა საქართველოში“. ბროშიურა იმდენათ საინტერესოა და შინაარსიანი, რომ კომპარტიის ც. კ. საგიტ.-საპროპ. განყ. საჭიროთ სცნო რადგანაც ეს ბროშიურა მოსკოვიდან განსაზღვრული რიცხვით გამოიგზავნა, დაიბეჭდოს აქ უფრო მეტი რიცხვით. სახელმწიფო გამომცემლობის განყ. ბროშიურა გაუგზავნა პოლიგრაფიულ განყოფილებას რომელსაც წინადადება მიეცა სასწრაფოთ დაბეჭდოს იგი. განზრახულია აგრეთვე ამ ბროშიურის ქართულ ენაზე გამოცემა.

◆ **მწერალთა ყრილობა.** კვირას ოქტომბრის 9-ს დანიშნულია სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობა, თბილისში ხელოვნების სასახლეში: დღის წესრიგი ცალკე იქნება გამოცხადებული.

◆ **პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოში.** განზრახულია სახალხო უნივერსიტეტები მოაწყონ საჯაროთ სახალხო ლექციები მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან: ლიტერატურის ისტორიიდან, პოლიტიკურ ეკონომიიდან, კულტურის ისტორიიდან, რევოლიუციონურ მოძრაობის და სოციალიზმის ისტორიიდან, მედიცინიდან, აგრონომიიდან სასოფლო მეურნეობიდან. ლექციები წაიკითხება ქალაქის სხვადასხვა რაიონში მუშა-მოსამსახურეობის ფართო მასსებისთვის. ამ მიზნით მოლაპარაკება სწარმოებს მუშათა კლუბების და პროფორგანიზაციების კულტ.-განმან. განყ. გამგეებთან და გამგეობასთან. გამოირკვა, რომ ა. წ. 1 ოქტომბრიდან ამ ორგანიზაციათა დახმარებით შეიძლება მოეწყოს ლექციების სისტემატიურათ კითხვა კვირაში ორჯელ შემდეგ რაიონებში: მე-3 ინტერნ. სახელობის კლუბში, მუშათა ცენტ.-კლუბში, რკინის გზელთა კლუბში, მუშტაიდში და ნაძალადევში, საბურთალოზე, ავლაბარში და ორთაჭალაში. კულტ. განმან. განყ. დახმარებით შესაძლებელია შეგროვდეს მსმენელთა კონტინგენტი ცენტ. სახალხო უნივერსიტეტისთვის, რომელიც გადაკეთდება მუშათა ფაკულტეტათ. ინსტრუქტორ-ორგანიზატორთა კურსების გამგის მოწვევით პოლ. განმთავ. სამმ. სახალ. უნივერსიტეტის განყოფილების ინსტრუქტორმა ა. თორაძემ წაიკითხა ლექციათა მთელი რიგი—ევროპაში და ჩვენში სახალხო უნივერსიტეტების განვითარების და ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ. კურსების მსმენელების და აგრეთვე პროვინციის განყოფილებათა დაჟინებით თხოვნის გამო განზრახულია ამხ. თორაძე გაიგზავნოს პროვინციაში, რათა წაიკითხოს საჯარო ლექციები შემდეგ თემაზე: „მუშათა ფაკულტეტების როლი და მნიშვნელობა“. ეხლახან მიღებულ ცნობების თანახმათ, პროვინციაში დაიწყეს მოქმედება ლექტორების ბიურომ და სახალხო უნივერსიტეტის განყოფილებებმა, როგორც მაგ.: ბათუმში, ქუთაისში, ჭიათურაში და სამტრედიაში.

წარმოებითი პროფკავშირებში

ბეჭდვითი პროფკავშირის წევრებს

ამხანაგებო! 26 აგვისტოს მუშათა კლუბში შესდგა ჩვენი პროფკავშირის საზოგადო კრება.

ამ კრებაზე ჩვენ უნდა აგვერჩია დელეგატები ბეჭდვითი პროფკავშირების საქართველოს ყრილობისათვის. 26 აგვისტოს ჩვენ საზოგადო კრებაზე მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო ჩვენი ღრმა რწმენით, გამარჯვა მენშევიკების და მათი ამყოლ-დამყოლთა სიამ! ეს მოულოდნელი იყო, რადგან ჯერ კიდევ მაშინ, როცა მენშევიკების მუშტი დაუსჯელად ნავარდობდა, როცა მენშევიკების საგანგებო რაზმის აგენტების თვითნებობას საზღვარი არ ჰქონდა, ასეთ დროს და ასეთ პირობებში, ბეჭდვით საქმის მშრომელნი თავიანთ საზოგადო კრებებზე ღირსეულად აფასებდენ მენშევიკების და მათი ამყოლი პარტიების მუხანათურ თვალთმაქცურ ორმაგ პოლიტიკას.

ეს კარგათ ახსოვთ ამ ვაჟბატონებს.

26 აგვისტოს საზოგადო კრების შედეგი ბევრ რამეს გვეუბნება ჩვენში დარჩენილ მენშევიკების მოქმედების შესახებ.

ეს ჩვენ უნდა გვახსოვდეს და არ დავივიწყოთ.

მე ვთქვი ზემოთ, რომ 26 აგვისტოს საზოგადო კრების შედეგი მოულოდნელი იყო-მეთქი, ეს არ არის ლითონი სიტყვა, ვინაიდგან ბეჭდვითი პროფკავშირის გამგეობას მოუვიდა საპროტესტო წერილი, რომელზედაც ხელის აწერს 131 ამხანაგი, და მოითხოვენ ხელახლა იქნას მოწვეული საზოგადო კრება.

რა თქმა უნდა, ჩვენს ბეჭდვითი პროფკავშირის გამგეობას არ შეეძლო და უფლებაც არ ქონდა ანგარიში არ გაეწია 131 ამხ. მოთხოვნისათვის, ამის გამო დღეს, 10 სექტემბერს, საღამოს ექვსი საათისთვის მოწვეულია ბეჭდვითი პროფ-კავშირის წევრთა საზოგადო კრება.

დეე, ამ კრებამ სთქვას თავისი ავტორიტეტული სიტყვა.

ჩვენ ძლიერ კარგათ ვიცით რა მახინაციებს მიმართეს წარსულ კრებაზე, და ამ კრების მოწვევის წინ მენშევიკებმა და მათმა მოკავშირეებმა.

ამხანაგებო, ბეჭდვითი პროფკავშირის წევრნო! ჩაუფიქრდით ვის მიეცით 26 აგვისტოს კრებაზე თქვენი მუშური ხმა, ვის ჩააბარეთ მანდატი. ეს ისინი არიან, რომელთა ლიდერები ევროპაში გაიქცენ და თან გაიტაცეს ხალხის სიმდიდრე და დოვლათი.

ეს ისინი არიან, რომელნიც ათასნაირ უსაფუძვლო ჭორებს ავრცელებენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

მაგრამ ტყუილია მათი ფაფხური. საბჭოთა ხელისუფლება—ეს მშრომელი ხალხის ბატონობაა, მას ვერავითარი სხვა ძალა ვერ შეეცილება.

ვისაც მშრომელთა გამარჯვება სწადია, ვისაც სურს მშრომელი ხალხი გამოვიდეს იმ უბედურების ჩიხიდან, სადაც ის შეამწყვდია იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომმა, მან ხმა უნდა მისცეს იმ სიას, რომელიც წამოყენებული იქნება დღევანდელ საზოგადო კრებაზე კომფრაქციის მიერ.

კოწია.

პროვინციაში

რაჭა.

ერთდროული სანიტარული გადასახადის და სასურსათო გადასახადის კომპანია.

9 აგვისტოს ქალაქ ონში სამაზრო პარტკომის და რევკომის შეერთებულ სხდომაზე, თანახმათ ცეკას განკარგულებისა, გადაწყდა მთელ მაზრაში სააგიტაციო კვირის ჩატარება, რისთვისაც მობილიზაცია გაუკეთდა პარტიის ყველა საუკეთესო ძალებს. საერთოთ მაზრაში მშვენიერათ ჩატარდა სააგიტაციო კვირა სასურსათო კამპანიის შესახებ. ქვემო რაჭაში საყურადღებო იყო ორი თემის დამოკიდებულება, რომელიც შედარებით სხვა მაზრის თემებზე კონტრრევოლიუციონურია. მცხოვრებთა საკმაო ნაწილი ყოფილი მთავრობის დროს ითვლებოდა მენშევიკების ბუდეთ: 1) ტოლა ხვანჭკარის, და 2) პატარა ონის თემების. 13 ტ აგვისტოს ერთ და იმავე დღეს მოწვეულ იქნა ფართო მასიური მიტინგები ბუგეულის თემის, ტოლა ხვანჭკარის ბუგეულში, პატარა ონის, და ცხიერ თვით პატარა ონში. პატარა ონის მიტინგზე მომხსენებლათ მაზრის პარტკომის დავალებით გამოდიან ამხ. ლ. მასხარაშვილი, და ტრ. სალარაძე, და ბუგეულის და ტოლა ხვანჭკარის შეერთებული მიტინგზე მოწვეული იქნა მაზრის პარტკომის პასუხის მგებელი მდივანი ამხ დ. ნასარიძე, რომელიც ფართოთ შეეხო დღევანდელ მომენტს და განსაკუთრებით კი სასურსათო გადასახადის მნიშვნელობას ნათლათ განუმარტა მიტინგს ჩვენი რევოლიუციონური მთავრობის აღნიშნულ კითხვებზე პოლიტიკა. სრულიათ გარკვევით აღნიშნა ს. ს. ს. რ. ხელმძღვანელების და ყოფილ კონტრრევოლიუციონურ მენშევიკური მთავრობის შორის პრინციპიალური განსხვავება. აგრეთვე სრულიათ გაფანტა ყოფილი მთავრობის აგენტების პროვოკაციით შექმნილი ატმოსფერა. ეს ვაჟბატონები სხვათა შორის ავრცელებდენ ხმებს იმის შესახებ თითქოს ჩვენს მთავრობას გამოეცეს დეკრეტი რომლის თანახმათ ვითომ ხალხმა უნდა გადაიხადოს პურის, სიმინდის და სხვა მოსავლის ნახევარი. ასეთი საზიზღროება ხალხში უხვათ ვრცელდება მათ მიერ და, ბუნებრივია, იწვევს აღშფოთებას მათში, ვინც ამ ლათაიებს უჯერის. დიდი საგიტაციო მნიშვნელობა იქონია ერთდროული სანიტარული გადასახადის შეწერამ „კულაკებზე“ და საშუალო და ულარიბესი გლეხობის ამ გადასახადისაგან სრულიათ განთავისუფლებამ. აგრეთვე დიდი თანაგრძნობით შეხვდა მასსა სასურსათო გადასახადზე ახსნა განმარტებასაც, ასეთივე მიტინგი იქნა მოწვეული 21 აგვისტოს ლამანწვის თემში, სადაც ამხანაგმა დ. ნასარიძემ გააკეთა დიდი მოხსენება ზემოთ აღნიშნულ კითხვებზე, რის შემდეგ იქნა ერთხმათ მიღებული შემდეგი შინაარსი რეზოლიუცია. 1921 წელს აგვისტოს 21-ხა დღეს, ნამანწვის თემის ფართო მასიურ მიტინგზე, მოვისმინეთ რა მოხსენება მომენტზე და სასურსათო გადასახადის მნიშვნელობაზე რაჭის მაზრის პარტიული კომიტეტის პასუხის მგებელი მდივნის ამხ. დ. ნასარიძისა, რომელიც ფართოთ შეეხო დღევანდელი ჩვენი მდგომარეობას ყოველმხრივ, ერთხმათ დავადგინეთ: 1) მთლიანათ ვიზიარებთ ჩვენი რევოლიუციონური მთავრობის პოლიტიკას სასურსათო გადასახადის შესახებ როგორც ერთად ერთი სწორ გამოსავალ გზას შექმნილი მდგომარეობიდან. მენშევიკურმა მთავრობამ სრულიათ გაძარცვა ქართველი მშრომელი ხალხის ძვირფასი ქონება, გაიტაცა ევროპაში და ხელში ჩაუყარა გაუმაძღარ ბურჟუაზიას. მისი პოლიტიკით შექმნილი მდგომარეობა დააწვა კისერზე მუშათა კლასს და გლეხობას განსაკუთრებით კი მის ულარიბეს ნაწილს. 2) დღესაც დაძრწიან ხალხში მისი მტრები ყოფილი მთავრობისა და ბურჟუაზიის დაქირავებული აგენტები, რომელნიც ავრცელებენ ჩვენი რევოლიუციონური მთავრობის წინააღმდეგ საზიზღარ ყალბ ხმებს, ხალხს უშლიან მთავრობის ყოველგვარ მუშაობას მშრომელი ხალხის სასარგებლოთ. 3) ამიტომ ფიცსა ვსდებთ შეუბრალებლათ ვებრძოლოთ ყოველგვარ გავრცელებული პროვოკაციულ ხმებს. უნდა აილაგმოს მშრომელი ხალხის მტრები, რაც საშუალებას მას მისცემს ჩვენს მუშურ გლეხურ რევოლიუციონურ მთავრობას დაწყებული დიდი საქმე მშრომელი მასის განთავისუფლებისათვის ბოლომდე მიიყვანოს, 4) ბრძოლა შეუპოვარი საბოლოო გამარჯვებისათვის, აი ჩვენი მკაცრი გადაწყვეტილება. გაუმარჯოს საქართველოს ს. ს. მთავრობას, გაუმარჯოს რუსეთის წითელ არმიას, გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლ. შტაბს 3-მე კომინტერნს, გაუმარჯოს კომუნიზმს.

აქაური.

სოფ. აბისი.

აგვისტოს 19, შესდგა სოფ. აბისში სოფლის საზოგადო კრება, დაესწრნენ აგრეთვე სოფ. ზერძნაულის და ფცის მცხოვრებნი, სულ დაახლოვებით 300 კაცი.

გასარჩევი იყო; 1) მიმდინარე მომენტი, 2) მიწების საკითხი საქართველოში, 3) სხვა და საკითხები.

მიმდინარე მომენტზე ვრცელი მოხსენება გააკეთა გორის რაიონის პასუხისმგებელმა ინსტრ.-ორგანიზატორმა ამხ. ა. ცაბაძემ. მან მკაფიოდ და შინაარსიანად დაახასიათა რუსეთის სოციალისტური რევოლიუციის ეტაპები, და მშრომელ ხალხის ავანგარდ—პროლეტარიატის თავგანწირული ბრძოლის უდიდესი შედეგები. მან განმარტა დღევანდელი საშინელი კრიზისის წარმოშობი მიზეზები და უჩვენა, თუ რა გმირობას იჩენდა და იჩენს მუშათა კლასი და რანაირად იბრძვის, რომ ბურჟუაზიის მიერ გაპარტახებული ქვეყანა აღადგინოს და ყველაფერი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ მოაწყოს. დასასრულ ამხ. ცაბაძე შეეხო ქარხნის მუშების და გლეხებს შორის მჭიდრო კავშირს და ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლას. ამხ. ცაბაძემ ასე დაამთავრა თავისი სიტყვა: „საქართველოს მუშათა კლასის ისტორიას ჯერ არ ახსოვს ისეთი ფართო თავისუფლება და ბრწყინვალე დღეები, როგორიც მოიპოვა მან 1921 წელში. მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა მისი დაფასება, შენარჩუნება. და თუ გვინდა ზედმიწევნით შევაყვაროთ ეს დიადი დღე, აუცილებლად უნდა გადავხედოთ ხოლმე ჩვენს გუშინდელს მონურ ცხოვრებას. მართალია, ჯერ კიდევ აუარებელი დაბრკოლებები გვეღობება წინ, მაგრამ უნდა გადავლახოთ ყოველგვარი ტანჯვანი და შეუდრეკლათ გავაგრძელოთ მუშათა სახელმწიფოს შენება იმ რწმენით, რომ ჩვენ ვაკეთებთ მშრომელთა წმინდა საქმეს“! (ხანგრძლივი „ურა“ და ტაში).

შემდეგ აუარებელი შეკითხვები მისცეს ამხ. მომხსენებელს, რომელმაც ყველას დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

ბოლოს ილაპარაკა ამხ. პ. კვინიკაძემ, და ი. წერეთელმა (აბისის მასწავლებელმა) და სხვა ამხანაგებმა, რომლებიც სრულიად ეთანხმებოდენ ამხ. ცაბაძის აზრს. მომენტზე კრებამ ერთხმათ მიიღო ასეთი რეზოლიუცია.

„მოვისმინეთ რა ამხ. ცაბაძის მოხსენება—დავრწმუნდით, რომ არც ერთი პარტია არ ემსახურება მშრომელი ხალხის მიზნებს და კეთილ დღეობას ისე ერთგულად, როგორც კომუნისტების (ბოლშევიკების) პარტია. მთელი მშრომელი გლეხობა დარწმუნებულია, რომ მას სათავეში უდგია თავისუფლებისათვის ნაწამები მუშა-გლეხების მთავრობა. მშრომელმა გლეხობამ მხოლოდ დღეს იგემა ნამდვილი თავისუფლება, რომ მან სამუდამოთ მოიშორა მუქთა ხორა მემამულეების მძიმე უღელი და ამის შემდეგ ის არ შედრკება არავითარი საფრთხის წინაშე და უკანასკნელ წუთებამდის შეებრძოლება ვინც კი გაბედავს მუშა გლეხების დამონებას“.

მეორე საკითხზე ამხ. ცაბაძემ დაწვრილებით აუხსნა კრებას მიწების საკითხი საერთოდ და კერძოთ გამოცემული დეკრეტები საქართველოში. მან სასტიკი იერიში მიიტანა იმ უპასუხისმგებლო პირებზე, რომლებიც განზრახ ამახინჯებენ მიწის დეკრეტების შინაარს და ატყუებენ ხალხს თითქოს „დეკრეტის ძალით“ ლალები უნდა გადიხადონ გლეხებმა მემამულეების სასარგებლოდ. ასე „დეკრეტის“ გამოკვეთა ფიქრადაც არ მოსვლია ჩვენს მთავრობას, და ვინც ამ ხმებს ავრცელებს, ის მშრომელი ხალხის მტერია.

კრება დიდი ნასიამოვნები და კმაყოფილი დარჩა მიწის საკითხის გარჩევით.

სხვა წვრილმანი საკითხების დაწვრილებით ახსნა-განმარტების შემდეგ კრება დიდი ნასიამოვნები დაიშალა.

ზ. კიკნაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარი № 5

მიწად.მოქმედების სახალხო კომისარიატისა

მიწის ლალის ანუ იჯარის შესახებ.

(მიწად მოქმედების კომისარიატის ცირკულიარის № 3 დასამატებლათ განსამარტავათ).

მიუხედავათ იმისა, რომ მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ რამდენიმეჯერ იქნა ახსნა განმარტებული ანუ მიწის იჯარის საკითხი (იხ. ცირკულიარი № 3 და სახალხო კომისარის ახსნა განმარტება სამაზრო რევკომების და მიწის სამაზრო განყოფილებების მიმართ აგვისტოს 3 რიცხვიდან, გაზეთ „კომუნისტი № 129, გამოცემული შემდეგ (ცალკე წიგნაკათ), ეს საგანი ალაგ ალაგ სოფლად ჯერ კიდევ ბევრ გაუგებრობას იწვევს.

ამიტომ მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატი ამ ნიადაგზე ყოველივე გაუგებრობის მოსასპობათ, თანახმათ მიწის დეკრეტისა (№ 17) და სხვა და სხვა დროს გამოცემულ ახსნა განმარტებათა განმეორებით აცხადებს, რომ ძალაში რჩება: **პირველათ, კომისარიატის ცირკულიარის № 3 პირველი მუხლი**, რომელიც ამბობს: არავინ გასცეს მიწა სამუშაოდ ქირით ან ლალით, გარდა წვრილ შვილიანი ქვრივი დედაკაცებისა, სამხედრო, ან სამოქალაქო სამსახურში მობილიზაციით გაწვეულთა და ისეთი პირებისა, რომლებიც დასნეულების ან ღრმა მოხუცებულობის გამო თვითონ ვერ შესძლებენ მიწის დამუშავებას და არც ოჯახში ეყოლებათ მიწის მუშაკი“. ამ მუხლის სისწორით გასაგებათ და ცხოვრებაში ადვილად გასატარებლათ საჭიროა შემდეგი ახსნა განმარტებით ვიხელმძღვანელოთ:

ამ მუხლს საერთოთ დროებითი ხასიათი აქვს, ე. ი. ძალაში დარჩება მანამ, სანამ მუშათა და გლეხთა სახელმწიფო შესძლებდეს აქ ჩამოთვლილ ოჯახების არსებობის სავსებით უზრუნველყოფას (სოციალური უზრუნველყოფა);

ბ) ყოველ შემთხვევაში ამ მუხლში იგულისხმება მიწის ისეთი ნაკვეთების გაცემა, რომლებიც საშუალო ნორმას არ აღემატებიან, ე. ი. ისეთ ნორმას, რომელიც საჭიროა საშუალო ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ;

გ) სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში მობილიზაციით გაწვეულთ შეუძლიანთ, რა თქმა უნდა, დროებით, სანამ იმათ მუშურ გლეხური სახელმწიფო უზრუნველყოფდეს, სალალოთ მიწის გაცემა მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ოჯახის ერთათ ერთი მარჩენელნი არიან და სხვა მარჩენალი ოჯახს არ მოეპოვება;

დ). რაც შეეხება წვრილ შვილიან ქვრივ დედაკაცებს, იმათ, რა თქმა უნდა, შეუძლიანთ, მათ სარგებლობაში არსებული არა უმეტეს საშუალო ნორმის მიწა გასცენ სალალოთ; მაგრამ ბევრათ უფრო მისაღები და ხელსაყრელი იქნება, როცა ასეთ მიწებს დაუმუშავებს მათ ძმურათ, უსასყიდლოთ მთელი სოფელი ან თემი.

მეორეთ, ძალაში რჩება აგრეთვე ამავე ცირკულიარის (№ 3) **მეორე მუხლი**, სახელდობრ: „**საზიაროთ გაცემული წვრილი და საშუალო ზომის მიწების შესახებ პირობები** უნდა ძალაში დარჩეს ამ წლის მოსავლის მოწევამდე“ სამწუხაროდ ამ ნათელ და ადვილად გასაგებ მუხლის აზრი და მნიშვნელობა უმეტეს ნაწილად ვერ გაუგიათ და მას ხსნიან და განმარტავენ სრულებით სხვა ნაირათ; მაგალითად, სიტყვა „საზიაროთ“ ესმით როგორც „სალალოთ“ ეს პირდაპირ გადახვევა ან გაყალბებაა ამ მუხლის მთელი მნიშვნელობის. საზიარო ნიშნავს **თანამშრომლობით ან ამხანაგურ ურთიერთობას** ორი ან რამოდენიმე პირისას, და სრულებით არა ქირით ან სალალოთ მიწის გაცემას. ასე ესმოდა ეს სიტყვა მიწადმოქმედების კომისარიატს წინეთ, (იხ ლე Вестник комис. Внут. Дел. № 4) და ასე ესმის ეს სიტყვა მას დღესაც, და სხვა ნაირათ გაგება ამისი შეუძლებელია. ამ მუხლის ძალით არას გზით არ შეიძლება მიწის სარგებლობისათვის ლალის აღება, რასაც, სამწუხაროთ, ალაგ თურმე ადგილი ქონებია ჩვენში. ყველაფერი ეს აუცილებლათ უნდა გამოსწორდეს, თანახმათ იმ განმარტებისა, რომელსაც ჩვენ აქ ვიძლევით.

ამ ნაირათ ხსენებულ ცირკულიარის მეორე მუხლში ეხება ისეთ შემთხვევას, როცა ორი ან რამოდენიმე პირი, წვრილი ან საშუალო ზომის მიწების პატრონები ერთმანეთს პირობას უდებენ და მოსავალს ინაწილებენ, ურთიერთ შეთანხმებით.

ასეთი პირობების გაბათილება და არ ცნობა, ეს იქნებოდა წვრილი და საშუალო გლეხ-კაცობის ინტერესების წინააღმდეგ და, აშკარაა, მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატი ასე ვერ მოიქცეოდა.

მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ძველ ურთიერთობათა უკან დაბრუნება ან აღდგენა შეუძლებელია. მიწის სალალოდ გაცემა გაუქმებულია. ყველა რევოლიუციონურ სამაზრო და სათემო კომიტეტებს და აგრეთვე მიწად მოქმედების სამაზრო განყოფილებებს ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა ყველა ამ დადგენილებათა და ახსნა-განმარტებათა ცხოვრებაში გასატარებლად, და თუ მათ შეხვდებათ რაიმე გაუგებრობა ან დაებადებათ რაიმე ეჭვი სხვა და სხვა საკითხის გადაჭრის დროს ლალის ან მიწის იჯარის ნიადაგზე აღძრულს, სამაზრო და სასოფლო რევკომები და მიწად მოქმედების ადგილობრივი განყოფილებები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ მიმართონ ყველა ამის შესახებ პირდაპირ **მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატს** ან მასთან **არსებულ განსაკუთრებულ საადგილმამულო კომისიას** და იქიდან მიიღონ პასუხი.

კომისარიატი აცხადებს, რომ მიწის საკითხის საერთოდ და საადგილმამულო დავის კერძოთ გადაჭრის დროს, თუ მოხდება გადახრა კანონიდან, ეს გადახრა უნდა ხდებოდეს **მშრომელი, ღარიბ ღატაკი გლეხკაცობის, და არა მდიდრების ან მუქთა-ხორების სასარგებლოდ. აი მთავარი გეზი**, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდენ საბჭოთა ხელისუფლების ყველა ადგილობრივი ორგანოები და იმათი ცალკე წარმომადგენელნიც.

მიწად მოქმედების კომისარი ფ. მახარაძე.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—წოხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

— მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

პარტიული

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2-რე რაიკომი აცნობებს ყველა წევრს და კანდიდატს მე-2 რაიონისას, რომ შაბათს 10 სექტემბერს დღის 1 საათზე შესდგება შაბათობა ტრამვაის ლიანდაგის გასაწმენდათ. აღნიშნულ დროისათვის ყველა წევრი და კანდიდატი ვალდებულია გამოცხადდეს მე-2 რაიკომში (მიხეილის ქ. კირკის კუთხე). უპარტიოთა გამოცხადება სასურველია. გამოუცხადებელთა და დაგვიანებულების მიმართ მიღებულ იქნება დისციპლინარული ზომები. იაჩეიკების მდივნებს ევალებათ თვალყური ადევნონ ამის სისწორით ასრულებას.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე 2 რაიონის ყველა მდივნებს და რაიონში მივლენილ ამხანაგებს, რომ 13 სექტემბერს საღამოს 6 საათზე მე-2 რაიკომის ბინაზე (მიხეილის ქ. კიროჩნის კუთხე) შესდგება გაერთიანებული სხდომა იაჩეიკების მდივნების რაიონთან მივლენილ ამხანაგებთან ერთად. დასწრება ყველასი სავალდებულოა.

10 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე მიხა ცხაკაიას სახელობის ბაღში, შესდგება მე 4 რაიკომის პლენუმი.

1) მდივნის მოხსენება 1 არჩეულ რაიკომის 4 თვის მოღვაწეობის შესახებ.
2) მიმდინარე საქმეები.

ყველა იაჩეიკების მდივნების და ხელმძღვანელთა გამოცხადება სავალდებულოა.

პასუხ. მდივანი (ხელმოწერილია)

საბჭ. საქართველო დამშეულთა დასახმარებლად

ხაშური.

პარასკევს, 19 აგვისტოს ჩვეულებრივ საზოგადო პარტიულ კრებაზე არჩეულ იქნა ვოლგის სანაპირო გუბერნიების დამშეულთა დამხმარე კომიტეტი, რომელშიც შევიდა ხუთი წარმომადგენელი შემდეგ ადგილობრივ დაწესებულებებიდან: პარტკომიდან — კალმახელიძე, რევკომიდან—გოგოლაძე, ქალაქის პროფკავშირიდან—ხოზზერიძე და სამხედრო უწყებიდან—ამხ. ვასილიევი. კომიტეტი დაარსებისთანავე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. პირველ რიგში მან ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციის დახმარებით მოაწყო მიტინგები როგორც თვით ქ. ხაშურში ისე რაიონის სხვა და სხვა სოფლებში, სადაც გადაგზავნილმა ამხანაგებმა განუმარტეს დამსწრე საზოგადოებას ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიც ჩაუყენა ვოლგის სანაპირო გუბერნიების მშრომელნი წლევანდელმა მოუსავლიანობამ და რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებს, როგორც შინა ისე საზღვარგარეთის კონტრრევოლიუცია თავის შავრაზმულ მიზნების განხორციელებათ—საბჭოთა რუსეთის დასამხობათ. ამხანაგებმა აუწყეს ხალხს, თუ რა პირობებში უხდებოდა რუსეთის მუშათა კლასს ბრძოლა; რამდენჯერ დამდგარა მისთვის საბედისწერო წუთები, მაგრამ თავისი მედგარი და შეგნებული ბრძოლით თავი დააღწია ყოველგვარ განსაცდელს და გამარჯვებული გამოვიდა ბრძოლის ასპარეზზე. დღეს კი ერთ საუკეთესო ნაწილთაგანს რუსეთისას სწვავს სხვა მტერი—შიმშილი, მოუსავლიანობა, რომელსაც შეუძლია თუ ჩვენ გულგრილად შევხედეთ ამდენი ხნის დიდი საქმე მიწასთან გაასწოროს ჩვენი ვალია ძმური დახმარება აღმოუჩინოთ დამშეულ გუბერნიებს და მით ხელი შეუწყოთ მუშათა კლასის ხელის უფლების განმტკიცებას. გარდა ამისა ყველა პარტიულ და უპარტიოთა კრებებზე, რომლებიც კი ხდება ხაშურის რაიონში, პირველ რიგში ირჩევა საკითხი დამშეულთა დახმარების შესახებ. თითქმის ყველა ადგილობრივ დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებმა რამდენიმე დღის ჯამაგირი და პურის ულუფა გადასცეს დამშეულთა სასარგებლოთ. სოფლებიდანაც მიიღო დამხმარე კომიტეტმა შემოწირულებანი ჭირნახულის სახით. კომიტეტმა 28 აგვისტოს მოაწყო საღამო და სხვა და სხვა გასართობები, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო და მთელი შემოსავალი გადაიდო დამშეულთა სასარგებლოთ. სულ რამდენიმე დღეა რაც კომიტეტი მუშაობს და მისმა მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მომავალში, როგორც ხაშურის ისე სხვა რაიონები მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ ამ საერთაშორისო მნიშვნელობის საქმეში და მით ხელს შეუწყობენ მუშათა კლასის დიქტატურის განმტკიცებას.

ს. მ—ნი,

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

საქ. კომპარტიის თ. სამ. კომიტეტი მწუხარებით აუწყებს პარტიის ყველა წევრებს თ. ხ. კ. წევრის და ამავე მაზრის რევკომის თავმჯდომარის ამხანაგ

ილიკო მგელაძის

უდროვოთ გარდაცვალებას. გამოსვენება 11 საათზე, კვირას 11 სექტემბერს, სერგეევის ქუჩიდან № 18, დაკრძალვა მოხდება დიდუბის სასაფლაოზე.

თფილისის მაზრის რევკომის პრეზიდიუმი აუწყებს ყველა ამხანაგებს და თანამშრომელთ, რომ ამა წლის 6 ენკენისთვეს საღამოს გარდაიცვალა რევკომის თავმჯდომარე

ილია მგელაძე

დასაფლავება დიდუბის სასაფლაოზე, კვირას, 11 სექტემბერს გამოსვენება საკუთარ ბინიდან, დილის 11 საათზე, სერგეევის ქ. № 18.

თფილისის მაზრის რევკომის მუშა-მოსამსახურენი აუწყებენ ყველა ამხანაგებს, რომ ამა წლის 6 ენკენისთვეს, საღამოს გარდაიცვალა რევკომის თავმჯდომარე

ილია მგელაძე

დასაფლავება დიდუბის სასაფლაოზე კვირას, 11 სექტემბერს, გამოსვენება საკუთარ ბინიდან დილის 11 ს., სერგეევის ქ. სახლი № 18.

დაობლებულნი ნინო, ლიზა და ასიკო აუწყებენ ამხანაგებს და ნათესავს, რომ მძიმე ავათმყოფობის შემდეგ 6 ენკენისთვეს საღამოს გარდაიცვალა დაუვიწყარი პირველის ქმარი, დანარჩენთა საყვარელი მამა

ილია მგელაძე

დასაფლავება კვირას, 11 ენკენისთვეს დიდუბის სასაფლაოზე. გამოსვენება კვირას, დილით 11 ს. საკუთარ ბინიდან სერგ. ქ. № 18.

პარტიულ ორგან. და წევრების საყურადღებოთ

ცენტრალური კომიტეტი ტანსაცმლით და ფულით დახმარებას აღარ იწევა. ც. კ. პრეზიდიუმის დადგენილებით აკრძალულია მისდამი ასეთი თხოვნით მიმართვა.

ც. კ. მდივანი მ. ოკუჯავა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილება 15 სექტემბრისთვის იწვევს თათბირს სამაზრო ქალთა განყოფილებების გამგეებისას.

დღის წესრიგი:

1) მიმდინარე მომენტი.
2) მოხსენება ც. კ. ქალთა განყოფილებისგან.
3) მოხსენება ადგილებიდან.
4) საორგანიზაციო კითხვები და მორიგი ამოცანები ქალთა განყოფილებებისა საქართველოში.
5) დედობის და ბავშვობის დაცვა.
6) მიმდინარე კითხვები.

კონკურსი

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საფოსტო მარკების ნიმუშების დამზადებაზე.

რადგანაც უკვე გამოცხადებულ კონკურსით მხოლოდ ერთმა წარმოადგინა მარკების ნიმუში, ფინანსთა კომისარიატი ხელმეორედ აცხადებს კონკურსის პირობებს.

საფოსტო მარკა უნდა იყოს 25, 50, 100, 250, 500, 1000 და 5.000 მანეთის ღირებულებისა.

კონკურსის პირობები:

1) უნდა წარმოდგენილ იქმნას საფოსტო მარკების შვიდი სხვა და სხვა ნიმუში შემდეგი ზომისა: პირველი ხუთის ნიმუშები იმავე ზომის იქნება რა ზომისაც ძველი საფოსტო მარკები იყო. 1000 მანეთიანი მარკა უფრო დიდი იქნება ზომით ვიდრე პირველი ხუთი, ხოლო 5,000 მანეთიანი უფრო დიდი ვიდრე 1000 მანეთიანი მარკა. სხვა და სხვა ღირებულების მარკა სხვა და სხვა ფერის უნდა იყოს. პროექტი შეიძლება წარმოდგენილ იქნას დიდ ფორმატად შეთანხმებული პროპორციონალურად ზემო ნაჩვენებ ზომებთან.

2) პირველ 5 მარკების ნიმუშებზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ღერბი და უნდა ჰქონდეს ქართულ და ფრანგულ ენებზე შემდეგი წარწერა: „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა“.

3) 1000 და 5000 მანეთიან მარკებზე გამოსახული უნდა იყოს რომელიმე დამახასიათებელი სიუჟეტი საქართველოს რევოლიუციონურ პერიოდიდან, ხოლო წარწერა ისეთივე ექნება, როგორც პირველ ხუთს.

საუკეთესო პროექტი დაჯილდოვებულ იქნება 1.000.000 მანეთით საშუალო 500.000 და 300.000 მანეთით.

4) სრულებით დამთავრებული ნიმუში მხატვრის ფსევდონიმის აღნიშვნით ცალკე კონვერტით, ხოლო მე-2 კონვერტში ფსევდონიმის მსგავსი გვარის აღნიშვნით უნდა წარედგინოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს კომისარის სახელზე არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა ნაშუადღევის 1-ლ საათ.

5) ჟიურიში მოწვეულ იქნება სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულ ხელოვნების განყოფილებიდან წარმომადგენლები.

ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილე ბ. ბიბინეიშვილი.

ბეჭდვითი საქმის მუშათა წარმოებითი კავშირი

დღეს, 10 სექტემბერს სამ. 5 საათზე არტისტიული საზოგადოების საკონცერტო დარბაზში შესდგება

საერთო კრება

ბეჭდვითი საქმის კავშირის წევრთა.

დღიური წესრიგი:

1. მიმდინარე მომენტი—კავშირები.—მოხსენება ამხ. ფ. მახარაძისა.
2. დელეგატთა არჩევანი სრულიათ საქართველოს მბეჭდავთა ყრილობაზე.
3. მიმდინარე საქმეები.

საკითხების მნიშვნელობისა გამო ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა. გთხოვთ არ დაიგვიანოთ. იმ შემთხვევაში თუ საკმარისი რიცხვი არ დაესწრო კრებას, დანიშნული იქნება ხელმეორე კრება იმავე დღის საღამოს 6 საათზე, რომელიც ჩაითვლება კანონიერათ მიუხედავათ დამსწრეთა რაოდენობისა.

შესვლა საწევრო წიგნაკებით.

გამგეობა.

ტირაჟი 10.000